N 417
19/04/2023

417-01-3-202304191540

სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის პირველ მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გვენეტაძის

ამავე სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის უფროსის
გიგუშა ესიავას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ნიკოლოზ,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ მიმართა ევროკომისიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ევროკავშირის დახმარების ინსტიტუციური განვითარების პროგრამის, კერძოდ ტაიექსის (TAIEX), გამოყენებით სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებულ და სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე (პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების მონიტორინგი) დახმარებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 11 იანვარს, ევროკომისიამ დააკმაყოფილა ზემოაღნიშნული მოთხოვნა და დაამტკიცა TAIEX-ის „გასვლითი ღონისძიება“, რომელიც ჩატარდება ლიეტუვაში, ქ. ვილნიუსში, 2023 წლის 25-27 აპრილს (ღონისძიება N83427 - TAIEX Study Visit on Monitoring of Periodic Technical Inspection).

აქვე, ზემოაღნიშნული ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, სააგენტოდან მიწვეულნი არიან:

ა) ნიკოლოზ გვენეტაძე - სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე;
ბ) გიგუშა ესიავა - სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის უფროსი;
გ) დავით გადელია - სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ე) ლაშა ჭელიძე - სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამსახურის იურისტი.

ასევე, აღსანიშნავია, რომ TAIEX-ის პროექტის ფარგლებში ევროკომისიის მხრიდან ფინანსდება მიწვეულ პირთა თვითმფრინავის ბილეთები, სასტუმროს მომსახურება და ყოველდღიური ხარჯი (per diem).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას 2023 წლის 23-28 აპრილში, ლიეტუვაში, ქ. ვილნიუსში ნიკოლოზ გვენეტაძის, გიგუშა ესიავას, დავით გადელიას და ლაშა ჭელიძეს მივლინებასთან დაკავშირებით.

აქვე, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრაში მონაწილე პირებისათვის სიმბოლური სასაჩუქრე სუვენირების გადასაცემად გთხოვთ დაავალოთ შესაბამის დეპარტამენტს შეისყიდონ და შემდგომ საწყობიდან გამოყონ შემდეგი ნივთები:

1. ღვინო სააგენტოს ლოგოტიპით (0.75 ლ) - 6 ბოთლი;

2. ჭაჭა სააგენტოს ლოგოტიპით (0.50 ლ) - 4 ბოთლი;

3. ღვინის და ჭაჭის ჩასადები ქაღალდის ჩანთა 10 ცალი;

4. ფიგურა „თამადა“ მოოქროვილი, სადგამზე (ძ.ასლი) ჩანთით 1 ცალი;

5. ფიგურა „ოქროს საწმისი“ სადგამზე (ძ.ასლი) ჩანთით 2 ცალი;

6. თასი მელქიორის, ორნამენტებით 1 ცალი;

7. პანო თბილისის ხედით, მოვერცხლილი 1 ცალი;

8. სურათი ხედებით, მაგნიტზე 1 ცალი.

დანართი: მოწვევა 4 ფურცელი; ინვოისი 1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგუშა ესიავა

LEPL Land transport agency

Digitally signed by LEPL Land transport agency
Date: 2023.04.19 17:24:19 +04'00'